

რედაქცია. სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შად ნოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარზე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дროზბა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროშა

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასო-

ებით ასოზე 1 კაპ. ქვეყნურებში კაპ. ცეროთი—5 კაპ. ქვეყნურებში კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეაზოკლოს დასაბუღდათ გამოგზავნილი სტატეები. დაუბუღელი სტატეები ევტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროშაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადროვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღჩესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дрозба“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილი—სამი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურლი, 24 სექტემბერს. ბაზ. „პეტერბურლის უწყებებში“ იწერებია, რომ სერგეივის ქუჩაზე ერთს სახლში პოლიციას უპოვნია საიდულო სტამბა. დაუტუსალებიათ რამდენიმე პირი, რომელნიც აღკრძალულ წიგნს აწყობდნენ.

ფაქტობრივი

ისტორიული მასალები.

(მაგრძელება*)

ამ დროს თურმე ხიზაბარველის ერთი მთელიწილი ჩვეა სავაჭროდ; შილა, სამოსელს და მისთანა სახლის საქირო რამეებს იყიდის, მოიკიდებს ზურგზედ და წამოვა ხეობაზედ ამ ფიქრით, რომ მამარ-ხანი ხიზაბარვას ყოფილა მახნისციხის აღების წინად, გაცნობილი ყოფილა იმასთან, იმის კაცები მე არას დამიშავებნო, და გაუბედია.

რომ ამოსულა ბორჯომის შინდებში, ორა ლეკი დაუნახია წინ გზაში ჩამდგარი; ერთი შინდებში მიმალულა, მეორეს ხელთოფი გადმოუბრუნებია, დაუმიზნია ამ ხიზაბარველისთვის, მაგრამ

*) „დროშა“, № 199.

პეტერბურლის ბიჩა, 24 სექტემბერს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეტები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	— 94—62
მეორე — — —	— 93—87
მესამეი — — —	— 93—75
მეოთხესი — — —	— 93—75
აღმოსავლეთის პირ.	— 92—
აღმოსავლეთის მეორე	— 92—
აღმოსავლეთის, მესამე	— 91—50
მკრო, 1/2 იმპერიალი	— 7—73

მთელ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — „ — „ შინაგანი 5% სესხის ბილეტები

პირველი სესხის	— 230—
მეორე სესხის	— 232—50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— — 25—37 პენსი
ბამბურლი	— — 127—25 ცენტი
პარიჟი	— — 268—50 სანტიმი
ვენა	— — 216—50 ჰფენიგი
დავკასიის კრასინი	— — —

კვესის დაცემინებისავე საპირის-წამლე აფეთქილა ტყვილა, არ აულია. სანამ ლეკს საპირისწამლე გამოუცვლია, მიჭრილა ზედ ეს ხიზაბარელი, სწრაფად უტაცნია ხელი ამ ლეკის სატევარისთვის და იქვე ხელ-და-ხელ გამოუწვლია! მეორე ლეკი რომ შემეველებია, დაკოდილი ლეკის თოფით მოუვერებია ის. მერმე გაუტარცვია, მიუმარხია იქავე ახლო ნაღვარყვის გამოქმულში და მოსულა სახლში მშვიდობით.

მის ხიზაბარელი პეტრე არის, რომ ლეკონ ბატონიშვილის დაკოდის დროს მიმავალბულა. ხეობაში, დაუჭერიათ მის კაცებს და მიუყენიათ მეფე მრეკლესთან, სამი დღე დანწყევდული ჰყოლიათ და მეოთხე დღეს წარუდგენიათ მეფის წინა. მეფეს უკითხია რა ამის ვინაობა, უბრალობა შეუტყვია; მაგრამ წასვლის ნება არ მისცემია; მრავალ შემსვლელ-გამსვლელთ მოჩივართ გამო, ველარ მოუთმენია მეტი ზეზღ დგომა და წასცილებია მრეკლე მეფეს სხვა მომიხენებთან ლაპარაკში და დაუძახია მაღალის ხმით:

საქართველო

დღიური

* * * * * მასოლი ორშაბათის სხლომაზე ჩვენმა ქალაქის ჩივეამ გარდაწყვიტა შემდეგი საგნები:

მ. მგეობამ წარუდგინა ჩივეას წინადადება, რომ, რადგან სამიკიტნოები ერთობ გამრავლდნენ ქალაქში, ამის გამო კარგი იქნებოდა, რომ შევამციროთ იმათი რ-ცხვიო. მამგეობის აზრით, 310 სამიკიტნოში, რომელნიც არსებობენ ამ ქალაქში, ურიგო არ იქნება, რომ 110 დაიკეტოს მომავალი 1880 წლის 1 იანვრისათვის და დარჩეს მხოლოდ 200. ჩივეა დათანხმდა ამ აზრზე, მხოლოდ ეს სამიკიტნოები 1881 წლიდან დაიკეტოს.

ჩივეამ საბოლოოვით დამტკიცა ინჟინერებთან ზამიატინთან, პოპოვთან და შანსკისთან კონტრაქტის შეკვრა იმ პირობით, რომ ქალაქის პლანი და წყლის გაყვანის პროექტი მომავალი წლის 1 ივლისისათვის უნდა წარმოადგინონ ამ ინჟინერებმა.

ამას გარდა იყო სჯა ქალაქის ვალოების პატიებაზედ. აღმოჩნდა, რომ ქალაქს ხაზინისა და სხვა-და-სხვა უწყებების 148,000 მანეთამდინ მართებია ვალი.

— მამა გიცხონდა, ბატონო, მე მიგვიანდება, თუ უნდა მამკლა, დროით მამკალ, თუ არა ჩემ გზას გამიშვი, წავიდე!

მამინ მეფეს გაეცინა თურმე და უთხრა მხლებელებს:

— მართლა ჯავახი ფირფირა ყოფილა ეს ტიელი! მათგანთ გარედ, წავიდეს!

და ასე გათავებულა საქმე. მას მერმედ დარქმევიათ შირფირა!

რა სულემიან-ფაშაზედ სხვა-და-სხვა საჩივრები გამართულა ხევანთქართან, შეჭფიქრებია ახალციხის ოჯახლებისა (წინამდგომ პირთა) და ღელიბაშის ჯარი მოუყენია ახალციხის მახლობლად; სხვილისს, ძეგჯღას, წყრუთს, საძელს, მარდას და ივლიტას ჩაუყენებია ქრისტიანებისთვის, სადილ-ვანშამი კაცისათუ ცხენთა სამჭმო-საკეები სრულ ქრისტიანთ ვალად სდებიათ.

მრთს ღელი-ბაშების მთავარს ივლიტას ერთს შევნიერებით განთქმულ პატარძალზედ თვალი დაუჭერია; იმ სახლში მხოლოდ ერთი ცოლ-ქმარნი იქმნე-

ზამგეობას უთხოვნი ამ ვალის პატიება, მაგრამ ხაზინას არ შეუწყნარებია ეს თხოვნა. რჩევამ გარდაწყვიტა, რომ, რადგან საფუძველი გვაქვს, ხელ-ახლად გავიმეოროთ 83 ათასი მანეთის პატიება.

* * * * * თფილისის ებრაელებმა თავის მთავარ რაბინად ამოირჩიეს უფ. ლივენინი, რომელსაც ებრაულ წესზედ კარგად ნასწაველ კაცს ამბობენ.

* * * * * თფილისის მოამბის „№ 190-ში“ დაბეჭდილია სტატია თფილისის სატყუალის შესახებ, რომელშიაც იმნაირად არის აწერილი ამ ციხის სამწუხარო მდგომარეობა და თვითონ ტყუალების გაჭირება და ყოველის მხრით ნაკლულევანება, როგორც ამას წინათ ჩვენის გაზეთის კორრესპონდენციებში იყო. ავტორი ამტკიცებს, რომ ტყუალებს არც საკმელო აქვთ სამყოფი, არც რიკიანი ჩაცმადანსურვა და არც კაცურად ეპყრობიან იმათაო. ამ ცუდის შენახვისაგან ტყუალები მუდამ ავთმყოფობენ და იზოცებანო.

მგონია დრო არის, რომ ამ საგანს უმაღლესმა მთავრობამ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. ტყუალების ბედი უმისოთაც შესაბრალოსია, და შიმშილითა და სიბინძურად რაღათ უნდა უღებდნენ კიდევ იმათ სიცოცხლეს ბოლოსა!

* * * * * ჩვენ გვატყობინებენ, რომ თფილისის და ალბულაღისა შუა ყველა სტანციებზე ისეთი გამხდარ-დამშეული ცხენები ჰყავთო, რომ ძელივს მიათრევენ ტროიკასაო; ერთი მოგზაური გვეწერს, რომ ტაბახმელიდამ ალბულადამდინ (40 ვერსი) სამი დღე ვიარეო. ამ გზის სტანციები, როგორც გვითხრეს, ერთს კნეინას აქვს იჯარით აღებული.

ბიან. როცა მოსვლია მორიგის ჯერი ამ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცს, მომზადებული ვახშამი ტაბაკით წაუღია დელიბაშებისთვის მისართმევად; გაჰყალიბა ბნელაში ეს ახალგაზდა ცოლი კარის მისახშობათ. ძარი მოუკეტია, რომ მობრუნებულა, ის დელების თავი კარს უკან დამალული შეჰყალიბა სახლში: შალს შეუხენდნია თუ არა, გამხნევებულა და კარგი გული უჩვენებია, მისულა მაშინვე, ეზბოს ქოთანს გარდმოუღია, ბლომა ეზბოთი ამოუშნია ტაფა და შემოუღვია ძლიერ ცეცხლზედ, ვითამ ქვაბში დანარჩენ ბრინჯის ფლავს უნდა დაასხას, რომ უცხა გულის სტუმარი კარგის ვახშამით შეაქციოს და თავი ანატროს. ცეცხლა-პირის აქეთ ეს ქალი უზის, ტაფის ტარი მაგრა ხელთ უჭირავს, ღულს ქაფქაფით ეზბო და იქით იქვე სტუმარი მიუყუყული ელაზღარება სიცილ-თართხალით თავის სატრფოსა. შეცრად აიღებს ამ ტაფითადუღებულ ეზბოს ეს დედა-კაცი და ამ დელიბაშს თავზედ გარდაასხამს; იმ წამსვე

„დროების“ კორრესპონდენცია

რაჭა, 21 სექტემბერს. სხვა უბედურებათა შორის მთელს რაჭის მაზრას მუსულკეთილაც წუნწუბასაებ მოედო.

სხვა-და-სხვა სოფლებში სხვ.-და-სხვა პირებიდამ მესმის საჩივარი, მაგრამ ს. ხოტევის საცოდავი მდგომარეობის მოწამე კი თითვონ მე ვარ.

სრული სამი კვირა იქნება, რაც აქ სტუმრათ მოესულვარ და ამ სამი კვირის განძავლობაში მრავალი მუსულაიანი გადაჰყვა მუკელსა. რამდენათ დრო გადის, იმდენათ ეს სუნი უფრო და უფრო იღვამს ფეხებს, იმდენათ ერთ სახლიდამ მეორე სახლში გადადის. მართი სიტყვით, თუ მხოვრებლებმა ამ გვარ გარეშობას ყურადღება არ მიაქციეს და მაზრის მკურნალს არ აცნობეს, მალე ამ სოფელს სახელი გამოერქმევა და ხოტევის მაგიერ „მუსულკეთილოვანი“ დერქმევა.

მუშინ, ნაშუადღევს სამ საათზე მოვიდა პრიზოდის მღვდელი სასოფლო კანცელარიის წინ, სადაც რამოდენიმე კაცი იყო თავმოყრილი და უთხრა:

— შეილნო, სიკვდილი ყოველ კაცისთვის გარდაუვა ღარს. დღეს თუ ხვალ, ჩვენც დაეხრცვებით და თუ ერთმანერთს, ჭირი იქნება თუ ღიბნი, არ დევნებარებით მაშინ, არც ღმერთი მოგვიწონებს და არც კაცი. იწამეთ ღმერთი, გამოამსვენებებით ის საწყალი დედა-კაცი!

— ჰვე რას ბძანებ, დედელო, თავი კი არ მოგვძულებია, რომ სახადიან სახლში შევეტეტეთ...

— მაშ რა ექნათ, დაღვეს სახლში?

— ჰვე რა უყოთ, მამაო, სახადი რომ არ იყოს, კვი დეგემართოს, სახადი და სწორეთ ვერ მივეკარებით!..

როგორც იყო, რის ვაი-ვაგლახით იკისრეს ოთხმა კაცმა მიცვალებულის გამოსვენება.

თავის კეფა ასკდება და გაფუჭული დელიბაში კი ალაგობრივ გაიბღარჯება: მანადი ქმარიც მოუვა, ასწევენ გაშინდრულ მკედარს და მიაფანიერებენ...

ამისთანა მაგალითები ბევრი მოხდენილია. არა გვანებონ მაშინდელი საზოგადოთ პირის-წყლიანი დედა-კაცები ახლანდელებსა!

აგრეთვე მაშინდელი ქრისტიანების ცხოველისარწმუნოება, შეურყეველი სიმტკიცე, ნამდვილი ძმათ-მოყვარეობა, ერთიმეორის დაჭერა ყოველ განსაცდელს გაჭირვებაში, ერთობა საზოგადოებაში და ბეჯითობა სიტყვას და საქმე-ყოფაში, სრულ სხვა დღესავით გარჩეულია ახლანდელ თვალთ-მაქც, მოჩვენებულ, თაღლით ქრისტიანობასთან!..

ამაზედ კაცი რომ დაფიქრდეს, გაცდება! ამ განთქმულ თავისუფალს რუსის ქრისტიან ხელმწიფობაში რად უნდა ვიყოთ ასრე გონებრივად და ზნეობით დაცემულნი? მითქო სულიერის თუ ხორციელის ყოველნაირის წარმატებისა საშუალება არ გვაკლია ერთი ხუთად

სულო ცოდვილო, და ჩვენს სულიერ მამას კიდევ უფრო შენებანსკებზე სახადიან სახლში მესტობას: მსაკვლებული რომ გამოასვენეს, ეს ორმოც საქენზე წინ მიუძღოდა.

მე მეგონა თუ ამ ბოლოს დროს რაც უფრო განშირდა ეს ავთმყოფობა და სიკვდილი, ხალხი მიაქცედა ყურადღებას და იხმარდა რაიმე საშუალებას ამ სენის ამოსაფხვრელად; მაგრამ, ამათ-და-საუბედურათ მეორე უარესი მუსულკეთილი მეგმატათ; იგეთი მუსულკეთილი, რომელიც ნაწლევიდან დაწყებული გულ-ღვირძლიამდინ დიდსა და პატარას ყველას ერთბაშით ცეცხლს უკიდებს. აი ეს მეორე მუსულკეთილი რაში მდგომარეობს:

ხოტევის საზოგადოებას აქვს ერთი მთა, რომელსაც სახელად შაური ჰქვია და საილამაც უმანსოვრო დროდამ სარგებლობენ. თუ ტყით, თუ საბალახით და თუ შემით. ახლა ამ უკანასკნელ ქამს, ამათ გამოუჩინდნენ მოცილოთ იმერეთიდან თ. წულუკიძე, ოპოტუხაც მიიზრეს ზემოსენებული საზოგადოების აზნაურიშვილები, გაიკეთეს ცალკე პარტია, დაიყენეს ვეჭილი, ღესნიჩი, აბეზღიჩი და პოლესოვსიკები, რომ მთადან უბაჟოთ არავინ ისარგებლოსო. ამ სახით რომ ეს ტუზები გლეხების ცხოვრებას ისაკუთრებენ, რასაკვირველია, ესენიც სწუხან, ესენიც სკდილობენ ხელადებული არ შეიქმნენ თავის ცხოვრებდამ. ამათაც როგორც პირველებმა დაიყენეს ღესნიჩიც, აბეზღიჩიც და პოლესოვსიკებიც, რომ არც ამათი ნაწილიდამ შეეძლოს ვისმე სარგებლობა. მაგრამ ეს ამნაირი დახლართული საქმე არა ვგონებ შეუტაკებელად, უსისხლის-სამართლოდ გათავდეს...

გ. მ.

და ათად უფრო მომეტებულად უწინდელზედ? მისიკაპოზს იტყვე, მოძღვართ, მღვდელთ, დიაკანთ, მასწავლებელთ, მოსამართლეთ თუ ყოველგვართ სამსახურის პირთა: რისათვის ვერ მივბამებინართ უწინდელ ჩვენს მამა-პაპათა?.. რა არის მიზეზი ამ ჩვენი წარმატების უკუყენებისა? შეჭველად ყოველიფერში გაფართოება, მომეტებული მოთხოვნილების გამოკიდება, სმა-ჭამაში დროების გატარება, ახალ-ახალ ნოდების და დიდ-კაცური ცხოვრების გამოკიდებაში ვალამებთ ჩვენს დღესა!

უწინ და ჩვენს საუკუნოების დასაწყისშიც ყოველი წოდების პირი ირჩევოდა ტანისამოხით კაცი თუ დედა-კაცი, სმა-ჭამით და ყოველგვარი ცხოვრებით. დღის სავალს რომ შეგვხედნათ მომავალი პირისთვის, მის ვიჯაობის გაუგებლად შეატყობდით, რომ ეს თავადიშვილია, ეს აზნაურიშვილი, ეს მთქალაქე ვაჭარი, ეს ხელოვანი, ეს მსაპური და ეს გლეხ-კაციო. ახლა ქალაქის კინტოს ვერ გარჩევეთ თავადის შვილისაგან და

თეატრი

პართული წარმოდგენა

26 სექტემბერს.

ეს მეორედ არის, რომ მოლიერის „შორჟ ღანდენს“ თამაშობენ ქართულს სცენაზე და ორივეჯერ როგორც სუსტად და თითქმის უშნოდ გამოვიდა. ამას წინათ „შორჟ ღანდენს“ როლის ერთი ნიჭიერთაგანი ჩვენი აქტიორი უფ. მ. აბაშიძე ასრულებდა; ახლაც უნიჭო აქტიორი არ თამაშობდა (უ. ძ. მესხი); სხვა როლების ამსრულებლებიც მაშინაც და ახლაც არ იყვნენ ურიგონი, მაგრამ, ამ კომედიაში მაინც ვერ იხვირა და ვერა ჩვენს სცენაზე.

ზასაკვირველია ეს გარემოება: თვითონ ეს პიესა, როგორც თითქმის მოლიერის ყველა კომედია, სასცენო კომედია არის; იმაში გამოყვანილია ყველა საათის ადვილად გასაგები და ნაცნობი ტიპები, კომიკური მოქმედება არის, სასაცილო სიტყვები კიდევ უფრო მომეტებული; მაგრამ მაინც, ვიმეორებთ, ამ კომედიაში ისეთი მოქმედება ვერ იქონია მაყურებელზე, როგორც მოსალოდნელი იყო. ძამედის არ ჰქონდა საკმაო სიცოცხლე და საკმაო მოძრაობა სცენაზე. როგორც ერთობ მოწყენილად, ერთობ მშვიდობიანად დაწყობა და ასევე გათავდა მთელი პიესა.

აქედამ და საზოგადოთ უკანასკნელის წარმოდგენებიდან ჩვენ გამოგვყავს ის დასკვნა, რომ უცხო ენებიდან ნათარგმნი პიესები ჩვენს სცენაზე საზოგადოთ ვერ ხეირობენ. სულ სამი-ოთხი ნათარგმნი პიესა გვახსოვს—„ძალად ექიმი“, „სკაპენის ცულღუტობა“, „სგანარელი“ და სხვ., რომელთაც უხეირონიათ ჩვენ სცენაზე. ღანარჩენების წარმოდგე-

ნას ისე ჩაუყლიათ, რომ ამათ თითქმის არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია საზოგადოებაზე.

იქნება ამის მიზეზი ის იყო, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ კარგი, დახელოვებული მოთამაშეები არა გვყავს, იქნება ისიც, რომ პიესები რიგინად არ არიან ნათარგმნი, იქნება ისიც, რომ საზოგადოებას არ ესმის უცხო ქვეყნის ხალხის მოქმედება, ზნე და ხასიათი, იქნება სხვა რამეც; მაგრამ ფაქტი კი ეს არის.

ამის გამო, ჩვენის აზრით, უკეთესი იქნება, რომ, ჯერ-ჯერობით მაინც, ჩვენმა ტრუპის მოთავეებმა უპირველესი ყურადღება ორიგინალურ, ადგილობრივ ცხოვრებიდან ამოღებულსა და ჩვენი ხალხის ხასიათების გამოხატველ პიესებს მიაქციონ უპირველესი ყურადღება და ამ გვარი პიესები წარმოადგინონ ჩვენს ჯერ ნორჩს და ახალგაზრდა სცენაზე.

სხვა მაგალითები რომ არ მოვიყვანოთ, თვით გუშინდელი წარმოდგენაც ცხადათ გვიმტკიცებს ამ სიტყვების ჭეშმარიტებას: „შორჟ ღანდენს“ შემდეგ, ითამაშეს უფ. მელდინეთსუცესოვის ვოდვეილი „ძატა აწონა“. რაღა თქმაუნდა, რომ „შორჟ ღანდენს“ ერთი-ათად უფრო ხელოვნურიც, უფრო სასცენოც, უფრო ნიჭიერადაც დაწერილი თხზულება არის, ვინემ „ძატა აწონა“, რომელშიაც ვერც მოქმედებას ნახავს კაცი, ვერც, რასაკვირველია, აზრსა და ვერც მაინცა-და-მაინც ჩვენებური ხალხის ხასიათსა და ჩვეულებას. მაგრამ საკმაო იყო მხალოთ ის, რომ ეს ვოდვეილი ჩვენი ცხოვრებიდან არის, რომ სცენაზე გამოდიან ჩვენი ნაცნობი სომხები, გლეხები, ქალები, რომ აქ გამოხატულია ჩვენებური ხალხისათვის გასაგები მოქმედება, ტირილი და სხვ.—რომ საზოგადოებას ალტაცებითა და ტაშის-კვრით მიეღო ეს უაზრო ვოდვეილი. რას იზამ!

ძაცს იმის დანახვა და გაგონება უფრო ესამოვნება და ვადვილებს: რა უკეთესი, რასაც იცნობს...

ახლა თვითონ გუშინდელ წარმოდგენაზედაც ორიოდ სიტყვა.

„შორჟ ღანდენს“, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, საზოგადოთ სუსტად წავიდა. უფ. ძ. მესხი (შორჟ ღანდენს) ზოგიერთს ალაგებში ხერხანად და ცოცხლად, ნამდვილის კომიზმით წარმოდგენით ამტკიცებდა, რომ, თუ კარგათ მოემზადა და გაწრთენა სცენისათვის, ამ გვარის როლების თამაში შეუძლიან. ანჟელიკა, უ. ღანდენის ცოლი (მ. შიფიანისა) სრულებით არ ჰგვანდა კახტა, მსუბუქ ქალს, როგორც უნდა იყვეს მოლიერის ანჟელიკა. მერ ისწავლა მ. შიფიანისამ ვერც რიგინად ლაპარაკი, ვერც სიარული და თავის-დაჭერა სცენაზე...

უფ. შაჩაბელი ბარონის როლში ურიგო არ იყო. ჩვენ ვატყობთ, რომ უ. შაჩაბელი თან-და-თან კეთდება, ეჩვევა სცენას; უეჭველია, რომ ერთ დროს ის კარგი, გამოხადევი აქტიორი დადგება.

ნ. ბაბუნიას ქალიც გვარანად თამაშობდა, მაგრამ ისეთ ნაირად ძორთული გამოიყვანეს სცენაზე, რომ ია რუსის მრეცხელ დედა-კაცს უფრო გვანდა, ვინემ ბარონ ლე-სოტანვილის მედიდურ ცოლს.

შველაზე უკეთ უფ. თამაშვილმა (ლიუბინი—ბიჭო) და მ. საფაროვ-შაშვილისამ (ძლოდინა—გოგო) შეასრულეს თავის როლები. შორჟ ღანდენს გარდა, ცოტა ამათ გააცოცხლეს კიდევ სცენა.

„ძატა აწონაში“ ყველამ ისახელა თავი, ყველამ ჩინებულად შეასრულეს თავის როლები, უფ. შაჩაბლიდამ დაწყებული უფ. ცაგარელამდინ, რომელნიც ჯერ გლეხის როლებს თამაშობდნენ და ვაჭრებისას. მაგრამ კარგებზე უკეთესად ითამაშა ნ. ბაბუნია ქალის (ლაღუა,

გლეხს მოქალაქისაგან. შველანი ბევრს რასმეს თხოულობენ ცხოვრებაში, ვერცხლისა და ოქროს ქამრებს ეძებენ, ბრილიანტის ნივთეულებასა, ბაგრასტის ტანისამოსსა; დიბა-გლასის კაბებსა და ალმას-ზურმუხტის ძვირ-ფას ბეჭდებსა. მით ამგვარ თავისუფლებას უკან მოსდევს შური, ერთი მეორის გარდაცმა, მოტყვილება, ყაღბაზნობა, ხელმეტობა, მოქრთამობა, უსამაროლობა და ყოველი კაცის ტომობის ძირის ამომღებელი შედეგები!..

ბევრი გულ-უმანკო პირნი ზრახვენ ჩვენს ახლანდელს მწერლებსა და სწავლულ პირთა, სრულ თავისუფლებას რომ ჰქადაგობთ (უთითებენ აწინდელ გარყენილ ცხოვრებაზე) აი თავისუფლებამ რა უბედურებები მოიტანა? მითამ ამ მოკლე სიტყვით თავიანთ გულში სიტყვებს უგებენ. ის კი არ იციან რომ ჩვენი ნამდვილი სწავლულების ნაქადაგები თავისუფლება ის არის, რომელიც კაცობრიობას დააწინაურებს ნამდვილ განათლებაში ღეთისა და ძმათ მოყ-

ვარებაში და ყოველს კეთილ საქმეში!..

1786 წ. ახალციხელ შოშიას (ნალბანდოების პაპას) რამდენიმე იმერლის და შართლის ტყვე ახალ ყმაწვილ კაცები ახალციხიდან იმერეთში გარდუბარებია. ხიზაბავრელებს ერთი დედაკაცი, სახელად მარიაში, ფულით დაუხსნიათ. ამ დროს მოუყვანიათ შართლითგან ერთი წვერ თეთრი მღვდელი კამეჩხედ მჯდარი ლეკებს ხიზაბავრის. მაინი იმდამეს პატივის ცემით მიუღია იქაურ მამასახლისს. მეორე დღეს უკრია ჯოხი და თავპირ მტერევით გაუყრია სოფლითგან: ეს ჩვენი სოფლის მღვდელია ეშმაკობით დაგიჭრიათო. იმ დამესვე შეუსვიათ ცხენზედ და ჯავანთითგან გარდუყვანიათ თავის სოფელში. მეორე კვირას ბევრი ტყვეები მოუყვანიათ, იმათში გვირგვინიანი მეფე დედოფალი ყოფილან, იმ დამეს ჯვრის წერისა დასხმან ეკლესიაზედ და სხვებთან ერთად მოუყვანიათ ხიზაბავრას. იმ მეფე დედოფალი შირფირას უსტუმრებია; ცალკე ოთახში გაუყვანია და როცა მეტყვე

ველებს დასძინებიათ, მარანში მიუშალა. ზამოღვიძებია ლეკებს ერთი ნსხვრევა შესდგომიათ, შირფირას არვიცაობაში თავი მიუცია, უძებნია გათენებამდის ლეკებთან ერთად იქაღის, რომ ლეკები ცარელ-ცარელა თავიდგან მოუცილებია, ერთი კვირა კარგი პატივის ცემით შეუწახია და მერმე გარდუყვრია თავის დედ-მამისთვის რა უწახია, დიდი სიხარული, ღონი დასდგომიათ; რა გულს წასვლა მამისა სიხარულისაგან, რა გულ შემოყრა დედისა! ძინალამ მადლის საქმე მატლად გარდაჰქცევიათ!

ამ კვალად მრავალნი უხსნიათ ლეკების კლანჭიდგან და უთავისუფლებიათ ყოველს მეტყვეოების დროს.

მინმე მესხი.

ახალციხე, 20 სექტემბერს.

(ზაგარდებია)

